

არაპირდაპირი გადასახადები საქართველოში - პრობლემები და შესაძლებლობები

გურამ უფლისაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი. guram.uphlishashvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: საქართველოს საგადასახადო კოდექსი; არაპირდაპირი გადასახადები; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი.

J.E.L. classification: G38, K20

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.12>

ციტირებისთვის: უფლისაშვილი გ., (2022) არაპირდაპირი გადასახადები საქართველოში - პრობლემები და შესაძლებლობები. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 23–31. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.12>

ანოტაცია. სტატიაში განხილულია არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. განხილულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის კუთხით. სხვადასხვა შემთხვევებში ეს ცვლილებები განპირობებული იყო ფისკალური მიზნებით, საგადასახადო ურთიერთობების ლიბერალიზაციის მოსაზრებებით ან/და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებით. უდავოდ პოზიტიურ შედეგებთან ერთად, გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რისკები და საფრთხეები. ვინაიდან არაპირდაპირი გადასახადები უმნიშვნელოვანეს ფისკალურ ფუნქციას ასრულებს, ცვლილებების შედეგები გათვლილი უნდა იყოს დეტალურად. ასევე გამოიკვეთა საგადასახადო სისტემის სამართლიანობის, ადეკვატურობის და საგადასახადო ადმინისტრირების სიმარტივის პრინციპების დაცვის აუცილებლობა.

შესავალი

გადასახადები საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების მთავარი წყარო და შესაბამისად სახელმწიფოს ფუნქციონირების საფინანსო

საფუძველია. ამაში მდგომარეობს გადასახადების ფისკალური (სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის) ფუნქცია. გადასახადები ასრულებს ასევე მარეგულირებელ (ეკონომიკურ) ფუნქციასაც - გადასახადებით მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება, მისი განაკვეთები ხელს უწყობს ან უშლის კაპიტალის დაგროვებას და ინვესტიციებს, არეგულირებს ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობას, ბიზნესის განვითარებაზე ზემოქმედების გზით აჩქარებს ან ანელებს ეკონომიკურ ზრდას.

თითოეული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების, შეცვლის, გაუქმებისა და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა განაპირობებს ამ ქვეყნის საგადასახადო სისტემის თავისებურებებს.

მსოფლიოში არსებული საგადასახადო სისტემები საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან დაწესებული გადასახადების სახეების, განაკვეთების, შეღავათების, ასევე საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდების, საგადასახადო ორგანოების და გადასახადის გადამხდელების ურთიერთობების ფორმების მიხედვით. მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების როლის და თანაფარდობის მიხედვით - როგორც მარეგულირებელი, ისე ფისკალური ფუნქციების რეალიზაციის თვალსაზრისით.

მირითადი ტექსტი

არაპირდაპირი გადასახადი დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელიც ფაქტიურად ეკისრება მომხმარებელს გაზრდილი ფასით საქონელის შექმნისას. მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი გადასახადის ადმინისტრირება სამეწარმეო სუბიექტს ეკისრება, ის ფაქტობრივად მოხმარებლის გადასახადია.

საქართველოში დაწესებული და შემოღებულია სამი სახის არაპირდაპირი გადასახადი: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და იმპორტის გადასახადი.

მთელ რიგ მიზეზთა გამო საქართველოში შედარებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა არაპირდაპირმა გადასახადებმა. ქვემოთ მოყვანილია ამის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი 1 და ცხრილი 2). მაგალითად, 2021 წლის საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიდან (სულ 13,380 მლრდ ლარი) 6,029 მლრდ ლარი მოდიოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე, ხოლო 1,868 მლრდ ლარი - აქციზზე, რაც ჯამური საგადასახადო შემოსავლების 45,06%-ს და 13,97%-ს შეადგენს შესაბამისად.

ცხრილი 1

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის წლიური მონაცემები გადასახადების სახეების მიხედვით (2015 -2021წწ. მლნ.ლარი)

გადასახადის სახეობა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საშემოსავლო გადასახადი	2223.2	2414.1	2,918.9	3247.1	3482.8	3326.7	3,775.70
მოგების გადასახადი	1025.2	1055.9	756.6	736.6	866.2	919.4	1,015.30
დამატებული ღირებულების გადასახადი	3505.4	3286.4	4,122.5	4426.9	5239	4837.2	6,029.50
აქციზი	870.7	1069.6	1,450.9	1465.7	1506.7	1619.4	1,868.80
იმპორტის გადასახადი	69.2	70.1	71.6	73.4	79.1	74.4	86.40
ქონების გადასახადი	290.2	363.4	394.8	441.2	474.3	433.7	510.70
სხვა გადასახადები	27.0	526.6	63.6	115.4	-230.3	-246.4	93.60
სულ გადასახადები	8010.9	8786.1	9778.9	10506.3	11417.8	10964.4	13380.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti

ცხრილი 2

გადასახადების ხვედრითი წილი საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში 2015-2021 წლებში (%)

გადასახადის სახეობა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საშემოსავლო გადასახადი	27.75	27.48	29.85	30.91	30.50	30.34	28.22
მოგების გადასახადი	12.80	12.02	7.74	7.01	7.59	8.39	7.59
დამატებული ღირებულების გადასახადი	43.76	37.40	42.16	42.14	45.88	44.12	45.06
აქციზი	10.87	12.17	14.84	13.95	13.20	14.77	13.97
იმპორტის გადასახადი	0.86	0.80	0.73	0.70	0.69	0.68	0.65
ქონების გადასახადი	3.62	4.14	4.04	4.20	4.15	3.96	3.82
სხვა გადასახადები	0.34	5.99	0.65	1.10	-2.02	-2.25	0.70
სულ გადასახადები	100.00	100.00	100.00	100.00	100.00	100.00	100.00

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti

ამრიგად, არაპირდაპირი გადასახადებზე მოდის საგადასახადო შემოსავლების თითქმის 60% და მისი ხვედრითი წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ერთის მხრივ, ეს აიხსნება მოგების გადასახადის ახალი, ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებით, რის შედეგადაც მოგების გადასახადის წილი საერთო საბიუჯეტო შემოსავლებში მკვეთრად შემცირდა.

მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო წლების განმავლობაში გაძლიერებული ინფლაციური პროცესები, რომლის შედეგი უფრო უშუალოდ ისახება არაპირდაპირი გადასახადების დარიცხვის ზრდაზე. ეს ბუნებრივია, რადგან როგორც დღე, ისე აქციზი შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებით უშუალოდ არის მიბმული სარეალიზაციო საქონელის/მომსახურების მზარდ ფასებზე. ასეთი პირდაპირი გადაცემა არ ახასიათებს სხვა გადასახადებს (მაგ. ხელფასებზე დაკავებულ სამშრომლო გადასახადს).

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა საბიუჯეტო შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობის მატებას, დაკავშირებულია აქციზის განაკვეთების მკვეთრ ზრდასთან, განსაკუთრებით თამბაქოს ნაწარმზე. ამას, ერთის მხრივ, ხსნიან საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით თამბაქოს მოხმარების შემცირებასთან და ევროკავშირის სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ აქციზი საქართველოში არის ერთადერთი საერთო-სახელმწიფო გადასახადი, რომლის განაკვეთის გაზრდა შესაძლებელია რეფერენდუმის გარეშე (ორგანული კანონი: მუხლი 1). ამიტომ, აქციზის განაკვეთების ზრდა ერთგვარი გამოსავალი გახდა მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებით გამოწვეული ფისკალური დანაკარგების კომპენსირებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი გადასახადების მობილიზება საგადასახადო ორგანოებისთვისაც უფრო მოსახერხებელია, რადგან ის შედარებით მარტივად ექვემდებარება საგადასახადო ადმინისტრირებას, პირდაპირი გადასახადებისაგან (მ.შ. მოგების დასამშრომლო

გადასახადებისაგან) განსხვავებით, რომელთა სწორად გამოანგარიშება უფრო მეტად არის დამოკიდებული გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერების ხარისხზე. საქართველოში კი საგადასახადო კანონმდებლობისადმი ლოიალობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომელთა დაძლევა დასჭირდება დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი - ისიც იმ შემთხვევაში, თუ იქნება საკმარისად მძლავრი სტიმულები მოსახლეობის პოზიტიური საგადასახადო კულტურის ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფოსათვის არაპირდაპირი გადასახადებს, განსაკუთრებით ფისკალური თვალსაზრისით. თუკი სახელმწიფო ხელისუფლება პირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებით თავს უფლებას აძლევდა, ადგილი გამოენახა მასტიმულირებელი ფუნქციების რეალიზებისათვის (მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი, დაბეგვრის სპეციალური სტატუსები სამშრომლო გადასახადში), არაპირდაპირი გადასახადების კუთხით ფისკალური (სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის) ფუნქცია გადაწყვეტად მნიშვნელოვანია.

ამიტომაც არის აქტუალური არაპირდაპირი გადასახადებთან (დღე-სთან და აქციზთან) დაკავშირებით არსებული პრობლემების და რისკების სწორი იდენტიფიცირება და დროული მოგვარება.

2021 წლიდან ძალაში შევიდა რადიკალური ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში. კერძოდ, სრულად შეიცვალა საგადასახადო კოდექსის დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული ნაწილი. ეს აუცილებლობა განაპირობა ევროკავშირთან 2014 წელს გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ, რომლითაც საქართველომ აიღო საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ვალდებულება. ევროკავშირი წარმოადგენს ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ

სივრცეს, ამიტომ მასში გაერთიანებული ქვეყნების კანონმდებლობები, მ. შ. გადასახადების კუთხით, საჭიროებს ჰარმონიზირებას. აუცილებელია, როგორც ორმაგი დაბეგვრის, ისე გადასახადის თავიდან არიდების შემთხვევების პრევენცია. ვინაიდან ჩვენს ქვეყანას მიზნად დეკლარირებული აქვს ევროკავშირში გაერთიანება, ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი დირექტივები (მ.შ.112/2006/EC) გასათვალისწინებელია ჩვენთვისაც.

საგადასახადო კოდექსის ამ ცვლილებებში, რომლითაც დღგ-ის მარეგულირებელი ნორმები სრულიად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე:

- რამდენადმე განსხვავებულად განიმარტა მომსახურების გაწევის ადგილი. გაზიარებულ იქნა ევროკავშირში არსებული შესაბამისი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, არასამეწარმეო სუბიექტებისათვის მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება მომსახურების გამწევის ადგილმდებარეობა, სხვა შემთხვევაში - მომსახურების მიმღების ადგილმდებარეობა. თუმცა ამ ზოგადი წესისასაგან განსხვავებით, ზოგიერთი მომსახურების (მ.შ. ტელესაკომუნიკაციო, საკონსულტაციო, სარეკლამო, საბანკო-საფინანსო) გაწევის ადგილად მომსახურების მიმღების ადგილმდებარეობა დაფიქსირდა. ამ ცვლილებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სერვის-ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას;

- დაზუსტდა დასაბეგრი საქონელის მიწოდების ადგილები, რომლის კვალიფიცირება დამოკიდებულია სხვადასხვა მომენტზე, მ.შ. ტრანსპორტირება, დამონტაჟება-გაშვება და ა.შ.;

- გადამხდელებისათვის შედარებით სასარგებლოდ ჩამოყალიბდა საკუთარი ძალებით აშენებული შენობა-ნაგებობების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისას დაბეგვრის წესი;

- სამეწარმეო სუბიექტებს გაუადვილდათ უსასყიდლო მიწოდებების განხორციელება, რაც ადრე მოქმედი წესით უპირობოდ იბეგრებოდა. ამისათვის შემოღებულ იქნა ე.წ. მცირე (50

ლარამდე) ღირებულების საჩუქარის ცნება. დაბეგვრა ასევე დამოკიდებულია უსასყიდლო მიწოდების მიზნობრიობაზე და შესყიდვის მომენტში დღგ-ის ჩათვლის არსებობაზე. გარდა ამისა, ამიერიდან უსასყიდლო მიწოდება იბეგრება არა სარეალიზაციო საბაზრო ფასით, არამედ შესყიდვის ღირებულების მიხედვით;

- შემოღებულ იქნა მეორადი ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ან ანტიკვარული ნივთების მიწოდების დაბეგვრის სპეციალური სქემა, რომლის მიხედვით დილერს შეუძლია დაბეგროს მხოლოდ მოგების მარჟა (მიწოდება-შემქნის ფასთასხვაობა);

- მოწესრიგდა დაბეგვრის სქემა ე.წ. ვაუჩერების მეშვეობით მიწოდებების განხორციელების შემთხვევაში;

- გარკვეულად გაფართოვდა შეღავათები სამედიცინო, განათლების, კულტურის, სპორტის და სოციალურ სფეროში;

- ავანსების დაბეგვრის წესი გავრცელდა უწყვეტ და რეგულარულ მიწოდებების ნაწილზე, მ.შ. იჯარის, საკონსულტაციო და დაცვის მომსახურებებზე;

- დღგ-ის, მ.შ. დღგ-ის რეგისტრაციის მიზნებისათვის დამატებით განიმარტა სხვადასხვა ტერმინები, მ.შ. დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობასთან, არარეგულარული ხასიათის ოპერაციებთან;

- დღგ-ის რეგისტრაციის მიზნისთვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამურ თანხაში ამიერიდან ჩაირთვება ექსპორტიც, ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული და დღგ-ისგან გათავისუფლებული ფინანსური და სხვა ოპერაციები;

საგადასახადო კანონმდებლობაში დღგ-ის კუთხით განხორციელებული მასშტაბური ცვლილებები მეტად საყურადღებოა და მას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები ევროინტეგრაციის პროცესების განვითარების კუთხით, ასევე სამეწარმეო გარემოს ცვლილების და საგადასახადო ურთიერთობების ლიბერალიზაციის მიმართულებით. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სახელმწიფოს

შემოსავლების მეტი წილი სწორედ ამ გადასახადებზე მოდის, ხოლო ზემოაღნიშნული ცვლილებები, ისევე როგორც საგადასახადო კანონმდებლობაში ჯერ კიდევ დარჩენილი ხარვეზები, გარკვეული ფისკალური რისკების მატარებელია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რისკების შემცველი აღმოჩნდა საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების წესების გამარტივება. ეს ღონისძიებები ძირითადად სწორედ დამატებული გადასახადის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. სრულად ავტომატიზირებული გახდა დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სისტემა, რამაც მართალია გადამხდელებს გაუმარტივა ზედმეტობის დაბრუნება, მაგრამ ახალი დატვირთვების მომტანი აღმოჩნდა, როგორც საგადასახადო მონიტორინგის, ისე საგადასახადო აუდიტის კუთხით.

პრობლემურია ის, რომ დაბალი საგადასახადო კულტურის პირობებში, ზოგიერთმა უპასუხისმგებლო გადასახადის გადამხდელმა დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების პროცესების გამარტივებაში, საგადასახადო ადმინისტრირების სუსტი ადგილების გამოყენების გზით, უკანონო სარგებლის მიღების შესაძლებლობა დაინახა. ამჟამინდელი საგადასახადო ბაზების ელექტრონიზაციის მაღალი ხარისხი თითქმის გამორიცხავს ამგვარი (განსაკუთრებით კი მსხვილი) თაღლითობების კანონისმიერი რეაგირების გარეშე დატოვების შესაძლებლობას. მაგრამ ასეთი დანაშაულების სიხშირე და მასშტაბები მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო საგადასახადო ორგანოებს ძირითადად უკვე მომხდარ შემთხვევებზე უწევდათ რეაგირება.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში პრევენციული მექანიზმების შექმნის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ: გაუმჯობესდა კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირების და მართვის

პროცესი; განხორციელდა გადასახადის გადამხდელთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა; მოხდა დღგ-ის არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსის შემოღება და მათ შეეზღუდათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის, დადასტურების და ჩათვლის უფლება; გაჩნდა სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი დღგ-ის იმ გადამხდელებისათვის, რომელთაც შესაბამის ვადაში დღგ-ის დეკლარაცია არ აქვთ წარმოდგენილი. მაინც აღვნიშნავთ, ამ ნოვაციებთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა კოლიზიური შემთხვევების აღმოცენების შესაძლებლობები და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის კიდევ უფრო გართულების ნეგატიური შედეგები.

დამატებული ღირებულების გადასახადთან, ისევე როგორც სხვა გადასახადებთან, დაკავშირებით ზოგჯერ გამოითქმის მოწოდებები საგადასახადო განაკვეთების შესაძლო დიფერენცირებასთან დაკავშირებით, რასაც ამ ეტაპზე არ ვიზიარებთ. ჯერ ერთი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი ცვლილებების შესაძლებლობა შეზღუდულია კანონით «ეკონომიკური თავისუფლების შესახებ». ასევე გასათვალისწინებელია გადამხდელთა საგადასახადო კულტურის პრობლემატურობიდან და ადმინისტრირების სისტემის გართულებიდან გამომდინარე რისკები. ამასთან, საგადასახადო განაკვეთების დიფერენცირება/გაზრდა შესაძლოა ცუდი სიგნალი აღმოჩნდეს უცხოური ინვესტიციებისთვის, რისი დეფიციტიც საქართველოს ეკონომიკაში ისედაც სახეზეა.

შესაძლებელი იქნებოდა დაბეგვრის წნეხის გაზრდა ზოგიერთ დარგში/სფეროში, რომელიც მონოპოლიის მაღალი დონით გამოირჩევა (მაგ. კავშირგაბმულობა), მაგრამ ვინაიდან დღგ არაპირდაპირი გადასახადია, ეს მყისიერად გამოიწვევს სამომხმარებლო ფასების შესაბამის ზრდას. ამასთან, ამგვარ სფეროებში დაბეგვრის წნეხის ზრდა, როგორც წესი, უფრო აქციზის განაკვეთების დიფერენცირებითაა მიღებული.

აქციზი ჩვენი ქვეყნისათვის ასევე

მნიშვნელოვანი გადასახადია. დღ-ისგან განსხვავებით, რომელსაც არის უნივერსალური განაკვეთები ახსიათებს, აქციზი არის ინდივიდუალური არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც უწესდება საქონელის/მომსახურების მხოლოდ ზოგიერთ ჯგუფს - დიფერენცირებული სატარიფო განაკვეთებით. ამიტომ, სწორი სააქციზო პოლიტიკის გატარება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების შერჩევას სხვადასხვა აქციზური საქონელისათვის.

სააქციზო პოლიტიკის გატარებას ერთგვარად ართულებს ის გარემოება, რომ აქციზს, ჩვეულებრივი გადასახადებისაგან განსხვავებით, ასევე აკისრებენ მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ-საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც - აქციზით უმეტესად იბეგრება საზოგადოებრივი და ეკოლოგიური საფრთხეების მატარებელი საქონელი: თამბაქოს, ალკოჰოლური და ნავთობის პროდუქტები. ამიტომ, სააქციზო პოლიტიკას, ფისკალურის გარდა, უკავშირებენ ამ საზოგადოებრივი საფრთხეების მართვის ფუნქციასაც. ამ მხრივ საქართველოსაც გააჩნია შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებები. მხედველობაში გვაქვს თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციასთან შეერთება, აგრეთვე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივის დანერგვის ვალდებულება. ორივე შემთხვევაში ვიკისრეთ სააქციზო პოლიტიკის გატარება თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად და დაბეგვრის ტვირთის გასაზრდელად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ზემოთ ვახსენეთ, არის ის, რომ საქართველოში არსებულ გადასახადებს შორის, მხოლოდ აქციზის განაკვეთების გაზრდა არის დასშვები რეფერენდუმის გარეშე. აქედან გამომდინარე, წლების განმავლობაში, მზარდი სახელმწიფო ხარჯების დაბალანსების მიზნით, სისტემატიურად ხდებოდა აქციზის განაკვეთების ზრდა, რამაც ზედმეტად გაზარდა

დაბეგვრის წნეხი განსაკუთრებით თამბაქოს ნაწარმზე. საქართველოს სააქციზო პოლიტიკის პრობლემები და მისი განხორციელების უარყოფითი შედეგები ჩვენ ადრე უკვე განვიხილეთ უფრო დეტალურად (უფლისაშვილი, 2022:58). აღვნიშნეთ, რომ სააქციზო განაკვეთების მკვეთრმა და დაბეგვრის ტვირთის მნიშვნელოვანმა ზრდამ თამბაქოს მოხმარებაზე გამოიწვია რიგი პრობლემები: მ.შ. უკვე რეალური გახდა თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის და არალეგალური მიმოქცევის რისკები.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში სააქციზო პოლიტიკის დაგეგმვისას საჭიროა მისი განხორციელების შესაძლო პოზიტიური თუ უარყოფითი შედეგების განჭვრეტა, განსაკუთრებით კი სხვადასხვა მხრიდან არსებული რისკების უფრო სწორად და კომპლექსურად შეფასება.

დასკვნა

არაპირდაპირმა გადასახადებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეიძინა საქართველოს საგადასახადო სისტემაში, განსაკუთრებით ფისკალური ფუნქციის რეალიზების თვალსაზრისით, რისი განმაპირობებელი ფაქტორებიც განვიხილეთ. ამჟამად დამატებული ღირებულების გადასახადზე და აქციზზე მოდის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების თითქმის 60% და ეს ხვედრითი წილი ძირითად მზარდია.

2021 წლიდან მოყოლებული საგადასახადო კოდექსში მთლიანად შეიცვალა დამატებული ღირებულების გადასახადის თემა. აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანია ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებთან ჰარმონიზირებისათვის, ასევე სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების და საგადასახადო ურთიერთობების ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. ამავე დროს, იკვეთება, რომ ეს ცვლილებები გარკვეული ფისკალური რისკების მატარებელია. ისევე როგორც ბოლო პერიოდში

განხორციელებული სხვა ღონისძიებებიც, მ.შ. საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების წესების გამარტივება.

ბოლო წლების განმავლობაში ასევე ადგილი ჰქონდა აქციზის განაკვეთების მნიშვნელოვან ზრდას, რაც განპირობებული იყო, როგორც ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებით, ისე აშკარა ფისკალური მოტივაციით. ამან შესამჩნევად გაზარდა თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის და არალეგალური მიმოქცევის რისკები.

იქიდან გამომდინარე, რომ არაპირდაპირი გადასახადები გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფო შემოსავლების ფინანსური უზრუნველყოფაში, ყოველგვარი ახალი ცვლილების შესაძლო ფისკალური შედეგი გათვლილი უნდა იყოს დეტალურად და ყველა შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

2. დაბეგვრა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ანგარიში პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. ანგარიშის ავტორი: ალექსანდრე რაიბული, 2018. URL: <https://www.asocireba.ge/files/Aleksandre-Raibuli-taxes-2018.pdf> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

3. საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=152> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა. URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიშები, URL: <https://rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1> (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, ნაერთი ბიუჯეტი, 2022. URL: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti (ხელმისაწვდომია 10.11.2022);

8. უფლისაშვილი გ. (2022), საქართველოს სააქციზო პოლიტიკის პრობლემური საკითხები. ჟ: „ეკონომიკური პროფილი“, ტომი 17, N23)1, გვ.66-56. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.23.15>

9. უფლისაშვილი გ. (2021), საქართველოს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი. ჟ: „ეკონომიკური პროფილი“, ტომი 16, N21)1, გვ.-33 42. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.04>